# თეატრი და ცხოვრება

ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ...

...ი, 1 იანვარი | ფასი 10 კ.

...1 1916


წელიწადი მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება“ წელიწადი მეოთხე.—(იხ. მე-2 გვ...

## ახალი რწმენა

დროთა ტრიალის ცრემლიან დავთარს
კვლავ ამოვხიე ერთი ფურცელი,
დავმარხე იგი და მასთან ერთად
დავმარხე სევდაც, ზღვასავით ვრცელი..
სული ეძახის ახალ გარიჟრაჟს,
სული — დღესნამდე შხამის მწოველი;
ახალი ცეცხლი მათბობს შორეულს
და ახალ ღმერთსა ლოცვით მოველი!
დაე, გოლგოთა ერის ტანჯვისა
ძველ სისხლ და ცრემლით ჩამოილეკოს,
და ახალ რწმენის სამლოცველოზე
ახალი ზარი ჩამოირეკოს!..

ს. ფაშალიშვილი



ტომაზო სალვინი (...29-1915) მსოფლიო ...ნიოსი ტრაგიკოსი, ...გარდაიცვალა იტალიაში.



ელ. ჩერქეზიშვილი ...როლში. მისი იუბილეს გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხრფუხის საზ. კლუბი

მიხეილ. ქ. № 151

# ახალი წლის შეგებება

**მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო 1, სიმ-ებიანი ორკესტრი** ბ-ნ ჩრესმანის ლოტბარობით შესრულებს ევროპიის კომპოზიტორთა საუკეთესო მაწარმოებით; **2 იმღერებენ** რომანებს ქართულს, რუსულს, სომხურს და სხ; **ვაი ვუის** ხმაზე თანამედროვე **კუპლეტებს 3, წაიკითხა-ვენ** ახალგაზრდა პოეტები ლექსებს; **4, დუდუკი;** მეთარე ბ ნი სადირაშვილი დაუკრავს **თარზე;** 5, დასასრულ—**ცეკვა, ლეკური** და სხ.

შემდეგ **ვახშამი.** საერთო ვახშამზე—1 მ. 50 კ. ჩაწერვა შეიძლება ხარფუხის კლუბის კანტორაში **შესავალი ფასი:** მამაკაცნი—30 კ. ქალები დ. სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზეა

## სახალხო სახლი

შაბათს, 2 იანვარს 1916 წელს.

**სახ. სახლთან არს. ქართ წარმ მმართ წრე. ქართულ თეატრის დაარსების ალსანიშნავად წარმოდგენილი იქნება:**

1 **გ ა ყ რ ა** 2 **დ ა ვ ა**

(კომ. 4 მოქმ. გ. ერისთავ სა. მხოლოდ მე-თხე მოქ. დასაწყისი საღამოს სწორედ 8 სათზე შემდეგ წარმოდგენა 10 იანვარს. ადგილების ფასი 4 კ., 50 კ-დ. რეჟ. კ. მათირაშვილი.

## სახალხო სახლი

კვირა, 13 იანვარს ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

# იუდის მემკვიდრე

დრ. 5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისი

მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იმხნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ჟივიძე ი. ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი 10 კ.—1 მან.-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი

დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი.

ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტიშობისთვეს.

## განათლება

სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალი (წელიწადი მეცხრე).

წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს **5 მ.** ტფილისში ხელის-მო- **4 მ.** მწერთათვის სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუ- ჟურნალი დაეთმობათ შებს **3 მ. 50 კ.**

ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირებს **50** კაპ. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი. **მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузин. Гимназія Л. Б. Боцвадзе. 1233 რედაქ. გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

## ფოტოგრაფია ი. ა. სტურუასი

(ვოგზლის ქ. და ყვირილის ქ. № 13)

იღებს ყოველნაირი ზომის სურათებს ხელმისაწვდენ ფასებში, სუფთად და ხელოვნურად. შეუკვეთ საქმეს ასრულებს დანიშნულ ვადაზე.

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

**ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით**

| წელიწადი მეთხე | **„თეატრი და ცხოვრება“** | წლიურად ნ მან. ნახ. წლ. 3 მან. |
|---|---|---|

**წელიწადი გამოცემისა მეოთხე**

**1916 წელსაც გამოვა**

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

**ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა**

**ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება**

**ფასი:** წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

**ხელის მოწერა მიიღება** „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. სალ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# თეატრი და ცხოვრება

**№ 1**

წელიწადი მეოთხე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 [illegible] კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 1 — პარასკევი, 1 იანვარი — 1916 წ.


## მოგილოცავთ ახალ წელს!

### 1 იანვარი

**...ლების მოლოდინში**

„მოგვილოცნია ახალი წელი!“—ამ სიტყვებით შეხვდება დღეს ჩვენი ხალხი ერთი მეორეს, გადაჰკოცნის და მრავალ სიკეთეს უსურვებს...

...ი სადმე ქოხში დილა ადრიან გლეხი მეკვლე მუგუზალს წაუჩინჩხილებდა, უამრ ნაპერწლებს გააყრევინებდა და ყოველ წაჩინხილებაზე წასძახებდა: ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ამდენი ჭირნახული, ამდენი სიტ...ბოება.

და მრავალ ჭირნახული გლეხი ამ სიტ...ბით გამოხატავდა თავის რწმენას: შარშან, ...რშანწინ თუ ბევრი ვაება გამოვიარე, იმე...ა, მომავალ წელს ეს აღარ იქნება, სულით ...ვახლდებით!..

და ეს თვითრწმენაა, საუკეთესო მო...ლოდინის მტკიცე იმედია მიზეზი, რომ ჩვენი ...ლხი მრავალგვარ სიდუხჭირეს გოლიათური ძლიერით ებრძვის და თანდათან წინ, განა...ლებისა და აღორძინებისაკენ მიისწრაფის...

რაც ყოფილა—ის აღარ არის, რაც არის ...ის აღარ უნდა იყოს...

გასულმა წელმა ნათლად გვიჩვენა, რომ ...ენი ქვეყნის მოამაგე მამა-პაპათა ნაღვაწს ...ამად არ ჩაუვლია,—მათი ნათესი ნოყიერ ...ადაგში ჩაპნეულა და უკვე აჯეჯილებულა: ქართველის მაჯის ცემა გაძლიერდა, განახლების მოლოდინით აღძრული; კერძო თაოსნობის მაგიერ—საზოგადოებრივ-ამხანაგურმა თაოსნობამაც იჩინა თავი, ქვეყნის ნივთიერად აღორძინების საქმეს—თვით ქართველივე ცდილობს, სახალხო მასწავლებელმა—ამ ჩვენი ერის აღორძინების ბურჯმა—უკვე გაბედული ნაბიჯი გადასდგა, ერთი მეორეს შეუკავშირდა; იშვიათია კუთხე, რომ რაიმე კულტურული მუშაობა არ იყოს; ყოველ ჩვენს საზოგადოებრივ დანაკლისსა თუ შესამატს ადგილობრივი და საქართველოს გარემცხოვრები ქართველობაც გულმხურვალედ ეხმაურება, ხალხი—მთელი ერი თანდათან ცნობიერდება და ხშირად თვითვე თაოსნობს ამა თუ იმ კულტურულ-ეკონომიურ საქმეს... ჩვენს სამშობლო ეკლესიასაც რაღაცას ჰპირდებიან.. სკოლას განახლება დაეტყო, ჟურნალ-გაზეთობა ვრცელდება...

დღეს უკვე ხშირად გაიგონებთ სიამაყით წარმოთქმულს: **„მე ქართველი ვარ!“** და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ცალკცალკე აძგერებული თითოეული ქართველის გული ერთის გრძნობით დაიწყებს ცემას, ერთის მცნებით და საყოველთაოდ განისმის: **„ჩვენ ქართველები ვართ! ჩვენი თავი და სარჩო-საბადი ჩვენადვე გვსურისო...“**

და მთელი ჩვენი ხალხის ყურადღებაც აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ რაც

შეიძლება ჩქარა ვეღირსნეთ ასეთ გაერთიანებას, ერთი მთლიანი საქართველოს შექმნას—მიწა-წყლით, სწავლა-განათლებით, ვაჭრობა-მრეწველობით აღორძინებულს. ჩვენი ხელოვნებაც მხოლოდ მაშინ აღორძინდება სისრულით, თეატრი გაძლიერდება, მწერლობა გაიფურჩქნება...

და მხოლოდ მაშინ გათენდება ჩ
ახალი წელიწადიც...

ამ რწმენით გილოცავ ახალ წელს, ძ
ფასო მკითხველო—მეგობარო, და ჩემო
შობლო კერავ!..

# საახალწლო ფეშქაშების მაგიერ

ქართულ თეატრს:
„ვაი, რა კარგი საჩინო,
რა ავად მიგიჩნიესო“,
აშენებისა მაგიერ,
დაგწვეს და დაგაქციესო.

სახალხო თეატრს:
„რაც იყავ, იგი ნუღარ ხარ,
რაც ხარ, მაღ ნუღარ იქნები“..
საით მხარესაც გაგწევენ,
იქით ნუ გადაიქნები.

პროვინციის თეატრებს:
„იზარდეთ, მწვანე ჯეჯილნო,
დაპურდით, გაჴდით ყანაო...“

ქართველ მსახიობებს:
„შეც თქვენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით“.

ქართველ დრამატურგებს:
„მოდით ვნახოთ დრამატურგნი,
რამ ჩაყლაპა დრამატურგნი?!“

ქართველ პოეტებს:
„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ხალხისა მოძმე იყოთ
ჭმუნვასა და სიხარულში“.

მოკინკლავე ჟურნალ-გაზეთებს:
„პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია“...

ქართულ გიმნაზიას:
„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა—დაკარგულია“.

ჩვენს ზოგიერთ პუბლიცისტს:
„ინდი-ფრინდი, ფერად ცვინდი,
გადაფრინდი, გადმოფრინდი“.

ქალაქის მამებს:
„ძველს ქუჩაზე ტალახი
ისევ ძველის ძველია“.

ქართველ თავად-აზნაურობას
„საბრალო დედაბრისასა
თაგვნი ყანასა მკიანო“...

ქართველ გლეხს:
„ყველა შენ ჩამოგეკიდა
მამასახლისი, გზირია“;
სუყველას მოიშორებდი,
რომ გქონდეს ერთი პირია!..

უნამუსო მეზობელს:
„საყდრის კარი ღია იყო;
ძაღლს ნამუსი არა ჰქონდა“...

ქართველობას:
„ვაებითა და ვიშითა
ვინ მოიშორა ჭირიო!“

ზოგიერთ ქართველ მასწავლებელს:
„გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!“

ქართველ მუშა-მშრომელთ:
„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთი სოფელი“...

ქართველ მაღალ წოდებას:
„სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა!“

ქართველ სამღვდელოებას:
სადა არს სიონი, ჯვარი ვაზისა დ
ხარება ქართულად თქმული?!.



**მოქანდაკე ი. ნიკოლაძე**
თავის ატელიეში

# ქალის ცრემლები

(ლექსი პროზად)

აჰა, მოვედ მე შენს ტაძართან, სამშობ-
ლოვ ჩემო, შემოგავედრო ბედი ჩემი გაწამე-
ბული, უსამართლობით დაგმობილი, დამცი-
ნებული და, გთხოვ, ისმინო ჩემი ცრემლი, ჩე-
მი გოდება:

სიცოცხლე ჩემი არა რა არს, დამონებუ-
ლი, მიზანი ჩემი ტყვე-ქმნილია ბორკილე-
ბითა და სიყვარული მოწამლული, დამცირე-
ბული...

ნეტა რად, რისთვის? ვინ წამართვა თა-
ვისუფლება?

მე ხომ შენ მშობე, შენ ჩამიდგი სული
...ნიშნ, და შემაყვარე გაზაფხული, მშვენი-
...სად გაქრა იგი, ნეტარების გრძნობა
...ქართი, სულს თავისუფალს, ვინ დაადვა ეს
... სახელები?

...გამოჲნ სდუმ: არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩე-
მი გოდება!..

მახსოვს მე, მახსოვს, უდარდელი თავი-
სუფალი, მინდვრად ვკონავდი ყვავილების თა-
იგულებსა,—შენ გიმღეროდი...

მახსოვს თვალ-ლურჯა გაზაფხულის წყნარ-
ი საღამოს, შენს ხავერდ მოლზე მე დავ-
სევდი ციცინათელას, რომ დამეჭირა უცხო
...ივი--ჩემი ოცნება. ეს შენ გეძახდა უდარდე-
...ი ახალგაზდობა! ყვავილთა შორის შენი სა-
ხე მელანდებოდა და მე სრულ-ყოფა, ნეტა-
რება მენატრებოდა. დღეს სადღა არის ნეტა-
რების იგი ტაძარი?

გაჰქრა ოცნება, სიყვარულის გაჰქრა ზღა-
პარი! შენ სდუმ, არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩე-
მი გოდება!..

მაგრამ ვინ დავგმე, ან ისეთი რა დავა-
შავე, რომ მონად მთვლიან, დამცინიან, რად-
გან ვარ ქალი, და განა მე-კი არ მაქვს შენი
გრძნობა-გონება?

შენი ხალისი, შენი სწრაფვა, და ლაღი
სული, რომ არ დამიგმონ მე მიზანი და სი-
ყვარული? შენ თავისუფლად შენს ძუძუზე
ისე გამზარდე, როგორც ის მეფე—მამაკაცი,
რომელიც ახლა მე დამყურებს ასე ამაყად, რომ
თავი თვისი ბუმბერაზად მოსჩვენებია, მე კი
პიად...

ნეტა რად, რისთვის? მონის მონად მე
ვინ მაქცია?

შენ სდუმ: არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩე-
მი გოდება!..

მე გული მიწუხს, სული მიშფოთს გრძნო-
ბა დუნდება, რომ ყოფნა ჩემი ასე მიდის, ასე
ბნელდება, რომ სჯულის წიგნიც იმას ამბობს
გულის უფლო: ქალი მონაა, დაცემული და
სამოწყალო.

და, ჰა, მძიგნიან, როგორც ლეშსა
უგრძნოს, უსულოს, და როცა მინდა დავიახ-
ლო სახე შენი—მიზანი წმინდა—საკანში
მსვამენ, ვითომ ერთგულნი საკენკს მიყრიან,
თვით მზის სხივებს მანატრებენ, ისე მივლიან.

მე მიბრძანებენ: ვიყო ნაზი, ვიყო კეკლუ-
ცი, რომ მეფე ჩემი დასტკბეს ჩემი სურნე-
ლებითა. არ ენაღვლებათ მოვკვდე მონურ
მწუხარებითა.

და ასე ულვთოდ ვსჭკნები მონა შეყვა-
რებული... შენ სდუმ, არ გესმის ჩემი ცრემ-
ლი, ჩემი გოდება!..

ახ, ჩემო გულო, საყვარელო სამშობ-
ლოვ ჩემო, ნუ, ნუ მრაცხ მონად, განწი-
რულსა დღე განმინათლე, შემოაცალე ამ უმ-
წეო სულს ბორკილები, რომ დედამიწამ და-
ინახოს ჩემი სიმართლე!.. მაგრამ თუ ასე უნ-
და მოვკვდე და დავიმარხო, თავისუფლება სიყ-
ვარული ვერ დავინახო,—შორს ეგ მონობა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ მინდა თქვენი გალია! დე, ადრე გაქრეს, რაც წყვდიადში წარმავალია!.. მევიტანჯები, ალქაჯნი კი ფერხულს უვლიან ჩემს სათუთ ტანზე, შხამად ქცეულ ჩემს სიყვარულზე. რად? რისთვის?!..

თუ მონად მშობე, რად ვლაღობდი შენს გაზაფხულზე?

მაგრამ გთხოვ: ვიდრე ბედკრულს სული არ ამომხდება, მე დამანახვე, მომაწარი თავისუფლება: ის ერთხელ მაინც მაგრძნობინებს ბედნიერებას და საფლავშიაც სიყვარულით მომაგონდება...

შენ სდუმ, არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება?!.. **დარია ახვლედიანისა**

# მაშ რაღაა ახალი?!

გულშემზარავ წყვდიადს დღესაც ხომ ფართედ გაუშლია შავი ფრთები?!

კაცთა სისხლით მთვრალ ბოროტების მეუფეს წამებულთ გოდება დღესაც ხომ შვების მომგვრელ სიმღერად ადნება ყურში.

ობოლ სამშობლოს მტრის ისრით განგმირულ გულის კვნესა დღესაც ხომ ათრთოლებს ვაჟას მშობლიურ მთებს?!

ბარათაშვილის თანამოსაყდრე მტკვრის მკვნესარე დუდუნში გამოწრთობილი კაეშანი დღესაც ხომ აცრემლებს გრძნობიარე გულს?!.

სევდიანი ქარი დღესაც ხომ სევდიანად დაჰქვითინებს გულჩათხრობილ ივერიის წმიდა ნანგრევებს?!.

მწუხარე ქართლის დედის სისხლნარევ ცრემლებს დღესაც ხომ ჩამოუღვრავთ ჩამქკნარი ღაწვები?!.

ოხ! მითხარით... მითხარით!.. მაშ რაღაა ახალი?!. **ს. კაეშნიშვილი**

# მ ე კ ვ ლ ე!

— კარი გამიღე!
— რა მოგაქვს?
— თაბახი, ცრემლით ავსილი;
ტყვიები, შუბი და ხმალი,
ხელებიც სისხლში გასვრილი...

—

— კარი გამიღე!
— რა მოგაქვს?
— სიმშილი, მწარე ტანჯვები:
თაფლის, ჩურჩხელის მაგივრად
ხალხის მხუთავი ჯაჭვები..

—

— კარი გამიღე! მომდევენ
თვალ-ცრემლიანი დედები,
ქალაქთ მაგივრად მოგართვი
გადახრუკული ქედები...

—

— გასწი, გამშორდი: შარშანაც
შენ მყვავდი მეფეხურთა,—
რა დაგიშავე, რას მერჩი,
რისთვის მექცევი მტრულადა?!.

**ვას. როინიშვილი**

## ახალი ჯარის-კაცის სიმღერა *)

ადექ და წადი წერილო,
შეირო, მარსკვლავისაო;
ჟამზე დაბარებული
საწყალი სალდათისაო:
გადაგვირიცს რუსებში,
გატანა გვინდა ხმისაო,—
გატეხას გამაგრება სჯობს—
ნაბძანებია ღვთისაო.
მოვიდა ტელეგრამაი
რუსეთის ხემწიფისაო:
ვისაც გნებავდეთ—გვიშველეთ,
ძალიან საქმე ჭირსაო.
ყველა გამოდით ქუდზედა,
დრო არის სისხლი ღვრისაო.
სტიკები დაბლა სისხლითა
ზარბაზნებს წვეთი ზდისაო.
ბევრი გმინავდა ვაშკაცი,
ვისაც ნატყვიარ სჭირსაო,
სწამლობენ დოხტურ-ფერშლები,
ნაჭრებში სისხლი ზდითაო.
სადა ხარ დაბადებული,
სად წერა ხდება სხვისაო,

დაწერილი ახალი სალდათისა
**გიგა ადამაშვილისაგან**

*) ეს ლექსი ძმასთან მონაწერი წერილის ნაწილიაო. ვბეჭდავთ სრულიად უცვლელად. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მსახიობი ვ. მატარაძე**

ეს ერთი წელიწადია უსასყიდლოდ რეჟისორობს სა-[illegible]ურთალოს აუდიტორიის სცენის მოყვარეთ. 3 იან. [illegible]წრე უ[illegible]რთავს საპატიო გამოსათხოვარ წარმოდგენას, რადგან ვ. მატარაძე თავს ანებებს.

# ხელოვნების მოკლე ისტორია*)

**ბ ა ი ე ს ი**

(ხუროთმოძღვრება.—ქანდაკება.—მხატვრობა)

**შ ე ს ა ვ ა ლ ი**

პლასტიური ხელოვნებანი. მხატვრულ ნაწარმოებთა საფუძველნი.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს თვით ხელოვნება. ამ რთულ საკითხს ესთეთიკა არკვევს. ჩვენ ეს სიტყვა ვიხმაროთ უბრალოდ, პირდაპირის მნიშვნელობით. საბერძნეთის ტაძარი ან გოტიური საყდარი, რაფაელის ან რუბენსის ნახატი ყველასათვის ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს.

ჩვენი საგანი კი პლასტიური ხელოვნებაა. ის, რასაც ჩვენის თვალით განვიცდით—ხუროთმოძღვრების შენაქმი (არქიტექტურა), ქანდაკება და მხატვრობა. თითოეული ამ ხელოვნებისა თავის მასალადა ხმარობს ნახატს, საღებავს, ხაზს ანუ ზოლს და ნაკვთიერებას (ფორმას). არქიტექტურა უმთავრესად ხაზებსა და გეომეტრიულ ნაკვთიერობასა ხმარობს. ქანდაკება კი, ცოცხალ არსებათა და საგანთა ნაკვთიერებას აყალიბებს და ზოგჯერ სისწორით გადმოაქვს მათი ნაკვთიერება, ზოგჯერ კი განგებ ცვლის ამავ ნაკვთთა სახეს და მოყვანილობას. არქიტექტურაცა და ქანდაკებაც დიდ ანგარიშს უწევენ აგრეთვე სინათლისა და ჩრდილის თამაშს, მათ შეზავებულობას. ამ ორ ხელოვნებათა ნაწარმოების გარეგნული მხარე ხშირად ფერადია, ან თავისი ნამდვილი ბუნებრივი ფერი აქვს, ან ხელოვნური, განგებ შეღებილი. ორივ ამ ხელოვნებათა ნაწარმოები მუდამ ხელ-მოსაკიდია, შესახები. სულ სხვაა მხატვრობა, ის მხოლოდ ზოლებისა, სხვა და სხვა ფერის საღებავისაგან შესდგება და ამასთან მხოლოდ თვალით დასანახია. მაგრამ სივრცის გამოსახვით (პერსპექტივის საშუალებით), ათას გვარ ფერადებისა და შუქის მიყენებით ხშირად ნამდვილ ცხოვრებას სწორ-უტყუარადა სახავს. თითოეული ამ ხელოვნებისა მუდამ ცვლის თავის ტეხნიურ საშუალებას და წესს. ეს დამოკიდებულია ნაწარმოების ხასიათსა და დანიშნულებაზე. მაგ. ქანდაკებაში არსებობს

---

*) [illegible] ქართულს ენაზე სრულებით არ მოგვეპოვება უბრალო სახელმძღვანელოც კი ხელოვნების შესახებ და ამის გამო ჩვენმა რედაქციამ განიზრახა თავის ჟურნალში დაბეჭდოს საფრანგეთის განთქმულ არქეოლოგის და უმაღლეს განათლების დირექტორის ბაიეს ნაშრომი „ხელოვნების მოკლე ისტორია“, თარგმნილი მალვა დადიანის მიერ.

ბაიეს ნაშრომზე კი იმიტომ შევჩერდით, რომ შემოკლებით, მაგრამ ძალიან ხელმოდებით აქვს თავისი „ისტორია“ დაწერილი: არც **ერთი საყურადღებო ეპოქა** და მიმდინარეობა არა აქვს **გამორჩენილი, შეხედულებანიც** თანამედროვე აქვს და **ძალიან გასაგებათაც** შედგენილი.

ბაიეს ღირსება კიდევ ის არის, რომ მიუდგომელია, ობიექტიური მწერალი და თვითონ თუმცა ფრანგია, მაინც ყველა ეროვნების ხელოვნება კეთილ-სინიდისიერად აქვს აღნიშნული.

სამწუხაროდ ჩვენ მხოლოდ ის მიგვაჩნია, რომ თავ-თავის ალაგას ამ ნაშრომს ვერ ჩავურთეთ შენიშვნები სპეციალურად ქართული ხელოვნების შესახებ, განსაკუთრებით ჩვენი შესანიშნავი ხუროთმოძღვრებისა, მაგრამ ვინუგეშოთ იმითი, რომ ჩვენი ახალგაზდა სპეციალისტები ამ დარგსაც მიაქცევენ ყურადღებას და მომავალში გაგვაცნობენ ამ მხრითაც ჩვენს წარსულს.

ჩვენ კი დღეს-დღეობით ამ პაწია სახელმძღვანელოსაც დავჯერდეთ, რომ სრული უვიცნი არ ვიქმნეთ [illegible]ბრიობის ხელოვნურ შენაქმისა. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა და სხვა წესი ნაწარმოების შექმნისა — სტატუია, გორელიეფი, ბარელიეფი, ძვირფას თვალთა ამოჭრა (გლიპტიკა) და სხვ. მხატვრობაში კედლის — მხატვრობა, ნახატი, სურათი, ამოქარგვა, მხატვრობა ჭურჭელზე და სხვ. მხატვრული მრეწველობაც, რომელსაც ხშირად ხელოვნებაში ცალკე ადგილს აკუთვნებენ, ამავ ხელოვნებათა შემავალია. მაგ. ლამაზი ავეჯი, ერთსა და იმავე დროს არქიტექტურასთანაც არის შეერთებული თავისი მოხაზულობით და ქანდაკებასთანაც — თავისი ჩუქურთმებით ყველა ეს ხელოვნება შეიძლება სულ უბრალო, საყოველდღეო საგნებზეც იყვეს აღბეჭდილი მაგ. რომელიმე თეფში, დოქი, სურა ან შანდალი შეიძლება თავისი მოყვანილობით, მხატვრობით, ან სხვა გვარის შემკობით ხელოვნური იყვეს.

ყველა ზემოთქმული კი იმას გვიჩვენებს, რომ შეცდომა იქმნებოდა რომელიმე ხელოვნება ცალკე გაგვერჩია. მათ ყველას დიდი კავშირი აქვთ ერთმანეთში და უთუოდ ყველანი ერთი მეორეს ემყარებიან. ხელოვნების საუკეთესო ხანებში — ათინაში პერიკლოსის დროს, საფრანგეთში მეცამეტე საუკუნეში, იტალიაში რენესანსის, აღორძინების ხანაში — ყველა ხელოვნება ერთგვარის სიმძლავრით არის გამოთქმული. ყველა შარვანდედ მოსილია. ყველა ერთის სულით არის გამსჭვალული და ისეთ მძლავრ საერთო სურათსა ქმნიან, რომლის გვარიც სხვა უფრო მდარე ეპოქებში ჩვენ აღარა გვხვდება. ზოგჯერ თვითონ ხელოვანნიც უარსა ჰყოფენ ხელოვნების დანაწილებას: მათ სურთ ყოველი დარგი ხელოვნებისა შეისწავლონ და გამოიყენონ ყველა მისი გამოსახულება. ამიტომაც ხშირად ერთსა და იმავე დროს ზოგი ხელოვანი ხუროთმოძღვარიც არის, მხატვარიც და მოქანდაკეც.

ხელოვნურ ნაწარმოების გასარჩევად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყოველ ხელოვნურ ნაწარმოებს აქვს თავისი ტეხნიკა, კომპოზიცია, გამოთქმა და შესრულება.

ტეხნიკა მასალებისა და მისი მოხმარების ცოდნაა. ხუროთმოძღვარი აგურისაგან სულ სხვა გვარ აშენებს შენობას, ხისაგან სხვა გვარ, ქვისაგან კიდევ სხვა გვარ და სხვ.; მოქანდაკეც მარმარილოზე სხვა წესით მუშაობს, ბრინჯაოზე სხვით და ძვალზედაც სხვა წესით. მასალათა
განსხვავებას კი მხატვრულ ნაწარმოების იდეა-
სა და სტილზედაც გავლენა აქვს. ეგვიპტელ
მოქანდაკე, რომელსაც მასალათ კლდის მაგარ
ჯავარიანი და მეწამული ქვები ჰქონდა მოდელ
რობის *) წვრილმანს ნაკლებ აქცევს ყურადღებას
ასურეთის ხელოვანი კი დიდათ ჩაჰკირკიტებს
წვრილმანებს, რადგანაც მასალად მას უფრ
რბილი ქვა აქვს.

კომპოზიცია კი ნიშნავს ნაწარმოების შე-
მადგენელ ყველა ნაწილის ერთად შეკრებას დ
გარიგებას. რომ ცალ-ცალკე ნაწილები ისე
უნარით იყვეს გაერთიანებული, გამოსთქვამ
იმ იდეას და გრძნობებს, რომლებიც ხელოვ
უნდოდა გამოეთქვა. გოტიური ხუროთმოძღვ
რი ერთისა და იმავე მასალისგან და ერთ
ის და იმავე წესით აშენებს ეკლესი
ციხე-დარბაზს და სახლსაც, მაგრამ ყოველთ
მოთხოვნილების მიხედვით იგი მუდამ ახალ
გმას აძლევს შენობისას და ახალ გარიგებულ
ბას აძლევს მის შიგნითა მხარეს. რა გინდ
ნაარსიც უნდა ჰქონდეს მხატვარს აღებულ
დიდებული თუ მშვიდი, აღტყინებულ თუ აღ
ცებული, იგი მუდამ სინამდვილეში ეძებს გამ
სახსტავ მაგალითს და სამუშაოდაც ერთგვარ
სალასა ხმარობს, მაგრამ ნაკვთთა მიმოხრილ
ბა, მათი გამომეტყველება და მდგომარეობა მ
დამ ჟამ სხვა და სხვა გვარია და ამითი ცვი
ნებს იგი გრძნობათა სხვა და სხვაობას, ან ე
თისა და იმავე გრძნობის გამოსახვას სულ სხ
და სხვა მდგომარეობით. ხელოვანს თავისი
მოქმედება ბუნების დაკვირვებისაგან გამ ქვ
მაგრამ ეს დაკვირვება თვით მან უნდა გაარჩიო
გამოარკვიოს და ისე მოგვაწოდოს ნაწარმო
მან ბუნების ზოგიერთი სახე უნდა განგებ დ
ჩრდილოს და უკან დააყენოს, რომ სამაგიერო
სხვა გაადიდოს და უფრო ნათელ ჰყოს,
ამითი ჩვენზე სათანადო შთაბეჭდილება მო
დინოს. ყველა იმ წვრილმანთაგან, რომელ
მისთვის ბუნების დაკვირვებას დაუგროვებია, მ
თი მთელი ნაწარმოები უნდა გამოიტანოს და
გვაჩვენოს. საზოგადოთ კი კომპოზიციას,
თქმა უნდა, აქვს თავისი ზოგადი კანონები, მ

*) მოდელირობას მოქანდაკეობაში სახისა დ
ვთის ყოველ მიმოხრილობის სრულსა და ცხადს გამოსახვას ეძახიან.

რამ ხელოვანი სწორედ ამ დარგში უნდა იყვეს სრული თავისუფალი, თავის თავადი და დამოუკიდებელი.

მაგრამ შეიძლება ხელოვანი მშვენიერი ტეხნიკოსიც იყოს, კომპოზიციაშიაც მარჯვედ და გაგნებული და ნაწარმოები მაინც მდარე შექმნას. ნაწარმოებში მთავარი საქმე შესრულებაა. შესრულება კი დამოკიდებულია თვით ხელოვანის აღზრდა-გაწვრთნაზე და მის თანდაყოლილ თვისებებზე. ხელოვანის ამ თვისებათა გამორკვევა კ ზოგჯერ ძნელია. რუბენსი „კოლორიტის" დიდებული ხელოვანი მარტო იმიტომ კი არ იყო, რომ ის ფლამანდიელი იყო მოდგმით და ვენეციური მხატვრობა ჰქონდა შესწავლილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნებისაგან ჰქონდა ისეთი მგრძნობიერი თვალი, რომელიც საღებავთა შეგებულობას და მათ წინააღმდეგობას ერთი მეორეში მეტად მახვილად გრძნობდა, მაგრამ ეს თანდაყოლილი თვისებანიც, მისი ტემპერამენტის შემადგენელი, მაინც და მაინც მის გონებადა აღმაფრენას ემორჩილებოდა.

ყველა ზემოთ დასახელებული ელემენტები კი ერთად შექმნიან სტილს (ყაიდა). ყოველ ხალხსა და ყოველ ეპოქას თავისი სტილი აქვს. ყოველი თავისთავადი მხატვარიც თავის სტილის პატრონია. მისი ტეხნიური უნარი, შედგენილობა მასალისა და გამოთქმა და ასრულება ნაწარმოებისა სხვებისაგან განსხვავდება. ამ გვარად სტილი ერთსა და იმავე დროს ახასიათებს, როგორც პირადათ მხატვარს აგრევე ეპოქას და იმ ეროვნებას, რომელსაც ხელოვანი ეკუთვნის. ძალიან ცოტა გამოცდილებაა საჭირო იმისათვის, რომ ადვილად გაარჩიოთ ასურეთის ხელოვნური ნაწარაოები ბერძნულისაგან. თვით ბერძნული ნაწარმოებიც მეექვსე საუკუნისა არა ჰგავს ხუთე საუკუნის ბერძნულისავე ნაწარმოებს. აგრევე ადვილია მე 5 საც ნაწარმოებთა შორის ფიდიუსის სტატუა პოლიკლეტის სტატუისაგან გაარჩიოთ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ყველა ჩამოთვლილს თავისი საკუთარი სტილი აქვს.

(გაგრძელება იქნება)

# ხალხური შემოქმედება

## სიმღერები

(ჩაწერილი ს. ფშაველში მართა ჯაჭვაძის მიერ)

I

ქალ, შენეული ბარათი
ვერ ვნახე ამის მეტათა,
წავიკითხე და დამადგა
გულზე ნათელი სვეტათა.

II

ქალმა სთქვა: ახალგაზდასა
სიცილით შევეპარები,
ისე დავწვამ დი დავდაგავ,
ახლოც არ გავეკარები.

III

დილით მზე ამოკაშკაშდა—
შენ გამოუძეხ წინაო;
ლამაზო, შენმა სურვილმა
არ დამაყენა შინაო...

—

## საწყალთა კერა

(ნენე დავითაშვილს)

მწარე ფიქრებით მოცული
ნენე ჩუმად ზის ქოხშია,—
ქმარი ეს ერთი წელია
რაც წაიყვანეს ომშია.

—

მოჰგლიჯეს კაცი ოჯახსა,
ცოლ-შვილი განსაცდელშია:
სიღარიბისგან, ვერ იქნა,
ველარ გასწორდა წელშია.

—

ახალი წელიწადია,
ვინ მიილოცოს საწყალსა,
უიმედოსა, დაჩაგრულს,
მუდამ ბედისგან გამწყრალსა.

**იაგო ტეტიაშვილი**

# ყვავილები



კოტე ყიფიანი

## ბედი

ხუთი წლის შემდეგ, დღეს პირველად მოვკარი თვალი,
ელდა-ნაცემი შევაჩერდი სანატრელ სახეს...
აი, რა ძალუძს გაჭირვებას და სივაგლახეს,—
ძლივს და ვიცანი საცოდავი, საბრალო ქალი!..
რა რიგ გამხდარა, ჩამომჭკნარა, გაფითრებულა...
მიმქრალ თვალებში არც სიცოცხლე, არც იმედი...
აი, თურმე მის ლამაზ შუბლზე რა წერებულა,
აი, თურმე რას ჰპირდებოდა წყეული ბედი!..
თბილისი.

კ. ჭიჭინაძე

## ახალი წელი

დღეს ძველი წელი დავასამარეთ, ნაცვლად დაგვიდგა ახალი წელი
და მისმა მოსვლამ კვლავ განმიახლა ფიქრები ძველი, ფიქრები მწველი.
ოჰ, დღეს კვლავ ერთხელ გადაიხარა ჩემი ცხოვრების საათის შვილდი,
დღეს ისევ ერთი წელი მომაკლდა და სამუდამოდ მას ჩამოვსცილდი.
ვდგევარ და ვფიქრობ... ვფიქრობ და გულში სევდა-ნაღველი იზრდებ-
გუნდდება.
ოჰ, როგორ მიმძიმს იმის დაკარგვა, რაც არაოდეს დამიბრუნდება.
ოჰ, როგორ მიმძიმს, რომ შეუმჩნევლად უახლოვდები საფლავის კა-
რებს.
თუმც თვით სიკვდილსა შევრიგებივარ, იმისი ფიქრი არ მამწუხარებს,
მაგრამ არ მინდა მანამ შეეხოს ჩემს სხეულს მისი ხელი უგრძნობი,
ვიდრე ამ ქვეყნად დამრჩება რამე გაუგებარი—გამოუცნობი...

გ. მეგრელიშვილი

## ელეგია

ზამთარი არის... ღამეა ცივი, შავ ღრუბელთ შორის დასცურავს მთვარე,
დაღვრემილია, ვით ჩემი სული, მარად ლტოლვილი, მარად მშფოთვარე;
ზამთარი არის... თოვლი ჯერ არ სჩანს, არ ფარავს ხეებს, შიშველს
ბუჩქნარსა,
და ქარიშხალი სევდიან ხმაზე აკვნესებს ყველგან უხილავ ქნარსა.
აგერ ხმელ ფოთლებს მოჰხვია ფრთები და ხეს შესტყორცნა ამაყად
ზევით,
ხეს მოაგონდა ტურფა ზაფხული და აცახცახდა ტოტების რხევით...
ასე ჩემ სიყრმის დამჭკნარ ყვავილებს მოგონებისა დაჰქროლებს ქარი,
თვალ წინ მიდგება დრო სანეტარო და ლაწვებს მიწვავს ცრემლების
ღვარი.
როგორ აწვალებს მთა და ბარს ქარი!! რა კარგი არის მალე მოსთოვ-
დეს,
რა კარგი არის ცა დედამიწას მკერდზე თეთრს საბანს გადააქსოვდეს;
მაშინ ბუნება ძილს მიეცემა, წარსული დროც არ მოაგონდება,
ნაზი სიზმრები დაუტკბობს ღრმა ძილს და გაზაფხულიც მოახლოვდება.
ჩემს გრძნობათ ველზე თუმცა მოსთოვა, წარსული მაინც არ მავიწყდება,
სიყრმის გაზაფხულს ვსტოვებ, ვშორდები და ყოფნის ქნარზე სიმები წყდება.

[illegible]



† ერმ. სოფ. ხუნდაძე
XX—ქვეითა ჯარის უფროსი ექიმი, დაიღუპა ოსმალეთის საზღვარზე სამსახურის აღსრულების დროს.

ცვალებადობას არ განიცდის, კავკასიის ერობასაც დიდი საფრთხე მოელის

ახლანდელი სამინისტროს მაგვარად რომ ლიბერალებიც ჩადგენ მილიუკოვისა და ლვოვის ხელმ ღვანელობით, მაშინაც განაპირა ქვეყნებს იმედი არ უნდა ჰქონდესთ, რადგანაც ძველი ნაცადი გზა და პოლიტიკა იგივე დარჩება, მხოლოდ უფრო მოხერხებულად და უფრო ჩქარად წავლენ ამ გზაზედ ისტორიული დანიშნულების განსახორციელებლად.

რუსის „დელოპროიზვოდიტელი“ ისევ ისევ ძველებურად მტკიცე დარაჯად ეყოლება ძველ გზას და ერობის შემოღების ნებას განაპირა ქვეყნებში სხვა და სხვა უმნიშვნელო მიზეზების შემწეობით არავის არ მისცემს. ასე იქნება, სანამ ის არ დაადგება ახალ გზას, რომლითაც აწარმოებს თავის დიად პოლიტიკას ინგლისის ხალხი, რომელიც ამბობს: რაც უფრო ფართო თვითმართველობას მიანიჭებ განაპირა ქვეყნებს და გამოიწვევ მათში თვითმოქმედებას, მით უფრო მტკიცე კავშირი და სულიერი ერთგულობით შეეკვრება ის თავის მფარველ დედას—ინგლისსაო...

# ბეღლოცა გურულმა
(სცენა)

— კალანდა—ახალი წელიწადია, წმ. ბასილის მადლმა ყველას მრავალი გაგითენოთ და დაგასწრათ... შუაღამეზე გადასულიყო რომ ბესარიონ კალანდაძის ოჯახი წამოიჭრა ზეზე ბუხარში ცეცხლს გუგუნი გაქონდა, ცხემლის შეშა ამ დღისათვის იყო მომზადებული... ბესარიონმა გადიკიდა მაჭახელაი, ეილო ჩიჩილაკი, სურო, კურკანტელაით და გვირგვილაით გაწყობილი; ხაჭაპური, ვაშლი, სხალი და ფორთოხალი გვირგვინივით ქონდა თავზე გაკეთებული წმ. ბასილაის წვერებს...

სუფრა შემკობილი ღორის თავით და ტკბილეულობით! გეექანა ჭურის თავზე გასალოცავად .. ყინავს, ცაზე ვარსკვლავები გადაჭედილია... ჩოურჭო თოვლში ჩიჩილაკი.. დაასვენა სუფრა სანთლებით გაჩაღებული... ააპყრა ცას თვალები და გეილოცა: „ღმერთო და წმ. ბასილეს მადლო, შენ იყავი ჩემი ოჯახის შემწე და შემწყალებელი. მშვიდობით დამიბრუნე პრაპორჩიკი შვილი. კაი ბედი მიეცი ჩემს გოგოს პელაგიას, მიცო[illegible]ლი და დანარჩენი შვილები... მომაცილე სიწყნარე ქვეყანასა ამას, ბოლო უქენი ქვეყნის შემზარავს და მომაბეზრებელ ომს... შეაერთე და ძალა მიეცი ჩვენს მრავალტანჯულ ერს...

მომეც: ქონება და წარმოება აკაკი ხოშტარიასი, მარჯვენა ჯიბე ინტენდანტის ღენერლისა, შნო და უნარი სპირტის რუსეთში გატანისა, თვალ-მარგალიტი—ჩვენი გაქურდულ მონასტრებისა, ავტოკეფალია—ჩამორჩენილ ხუცებისთვის, ერობა—დაბეჩავებულ გლეხებისათვის და შეგნება—ყველა ქართველისათვის...

მაშორე ღმერთო: თარეშობა—ყაჩაღებისა, გატაცება—ცოცხალი ადამიანებისა, შტაბი—რასპუტინისა, წელიწადში—ასჯერ გარეკა დუმისა, ჩამოტანა რუსეთიდან მატლიანი ფქვილისა, ჭირი—უპატრონოთ დარჩენილ საქონელისა და ქათამი მადა-გაღვიძებულ პოლიციელისა.. აგუნაა, აგუნაა, შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო.“ და იგრიალა მაჭახელამ, ზე მიაყარა მეზობელს საფანტი

გეილოცა ბესარიონი და გოუდგა ოდისკენ, მიადგა კარებს და დააკაკუნა:

— კარი გამიღე?..

— ვინა ხარ, რა მოგაქვს?!

— ზავი და მშვიდობა მთელი ქვეყნისა, გამარჯვება და განთავისუფლება პატარა ერებისა... კარი გამიღე!

— ვინა ხარ, რა მოგაქვს?..

— რაც მოგიტანე იგი იკმარე, გავყინდი, კარი გამიღე!!.

გეიღო კარი.,

— შემოვდგი ფეხი კალანდას, ბასილომასა გილოცავ...



# სპარსეთში დიდი მრეწველობის დამწყებნი 1912 წ.



| აკაკი მეთოდის ძე ხოშტარია | გიორგი ბექანის ძე გვაზავა | თ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი |
|---|---|---|
| ცნობილი მრეწველი და ბაქოს დრ. წრის თავმჯდ. | ცნობილი ვექილი, მწერალი და ბერანჟეს მთარგმნელი. | ჟურ. „ნაკადული“-ს გამომცემელი და ქართ. დრ. მ. საზ-ის თავმჯდომარე. |

## სუმბული

გახსოვს, ტყის პირად, მთვარის შუქზე, ვკრეფდით ყვავილებს,
ტყიდან გამოსულთ მთვარის ცრემლით პირ-დასაბანად?
ღამის დუმილში შუქ მდელოზე ნაზად დახრილებს
ვკრეფდით ყვავილებს და ვკონავდით თან წასატანად
წყნარი ყვავილი მთვარის ცქერით გატაცებული,
ფოთოლთ ცახცახით მოწყვეტის დროს შეირხეოდა,
ცრემლი მთვარისა, ჩუმ ფოთლებში მოთავსებული,
ვით დამსხვრეული მარგალიტი ძირს იფრქვეოდა.
და მე არ ვიცი ჩემი ბაგე ღიმ-გადაკრული
თუ როგორ მოხვდა განზე გაწვდილ შენს ბროლის თითებს.
შენ გულს მიიკარ მოწყვეტილი თეთრი სუმბული
და დააცქერდი მოციმციმე ცვარ-მარგალიტებს.
ციური გრძნობით ანთებული, შიშით აღვსილი,
ენა-დახშული შეგყურებდი თვალ-მორიდებით.
შენ-კი უსიტყვოდ იდექ ჩემ წინ და თავ-დახრილი
შეუბრალებლად გლეჯდი სუმბულს მთრთოლავ თითებით...

1913 წ.

ს. აბაშე

## ალბომში

(თა—ს)

შენს ცაზე ღრუბელს არ ქონდეს არე,
დღე გინათებდეს მარად მზიანი,
ზურგს არ გიქცევდეს, ვინც შეიყვარე,
გულადი, მხნე და თავაზიანი.
სიცოცხლე მთელი ბრძოლათ ისახე —
და განუწყვეტელ სიამოვნებათ
ვერ დაგიღარონ ბრწყინვალე სახე
გამოურკვეველ ქმუნვათ და ვნებათ
და როდეს სევდა შეეპარება
მგზავრს, შენთან მავალს, შორი გზი...
მისთვის უშრეტი ემატოს ძალა—
მაგ თვალებს ღრმას და სათნოიანსა...

გორი იასამანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავიწყებული კუთხე და მისი ჭირისუფალი

მივიწყებული კუთხე!

ვინ უწყის რამდენი მივიწყებული კუთხეა ჩვენს სამშობლოში, რომ მადლიანი კაცის ამაგს არ შეუმუშავებია და, ღვთის ანაბრობაზე მიტოვებული, სიბნელისა, უსამართლობისა და კაციჭამიობის წყვდიადში იღუპება!..

ერთი ასეთი კუთხეთაგანია სამხრეთ საქართველო — ბორჩალო, წალკა და თრიალეთის ნაწილი, — ანუ დღევანდელის სახელწოდებით, ბორჩალოს მაზრა, რომლის დიდებულ ქართველურ წარსულის მოწმეა დღესაც მრავლად დარჩენილი ტაძარ-ციხე-კოშკების ნანგრევები, სასაფლაონი, ტაგრები, ტყედ გარდაქმნილი ნავენახობნი, ძველი ნასოფლარები... და თუ ქართველის სისხლისა იოტი მაინც შეგრჩენიათ, ღრმად ამოიგმინებთ: ყოფილა ოდესღაც დიდებული საქართველო, თვითმოქმედი, საკუთარ კერის მტკიცე მფარველ წინაპართა მამული, დღეს-კი ვერანად ქმნილი..

იყო დრო, როდესაც ეს განაპირა კუთხე დედა-საქართველოს გულთან მტკიცედ იყო შეკავშირებული. და დედის გულის ფეთქვას, მაჯის ცემას ფხიზლად ყურს უგდებდა, მისს ჭირსა და ლხინს იზიარებდა... ჰყვაოდა სწავლა განათლებით და მეურნეობით...

ახლა ბუნებრივი სიმდიდრე!.

აქვე იყო ერეკლე მეფის ზარაფხანა-ვერცხლის ფულის საჭრელი, — სპილენძის მადანი ალავერდისა ხომ დღესაც დიდს წარმოებაშია! . დიაღ, დიდებული იყო დიდ ნაშენი, მაგრამ უამრავ შემოსეულმა მტრებმა დასცეს და გაანადგურეს ამ კუთხის მაღალი კულტურა.. ველურთა ურდოებმა მთელი სოფლები ამობუგეს და ნიავქარს მისცეს... ჩაქრა სწავლა განათლებისა და მეურნეობა-მრეწველობის კერანი!... გადარჩენილმა ქართველობამ დაჰკარგა ყოველივე, თითქმის ენაც. ადგილობრივი მემამულე-მებატონენი ძლიერ ნაკლებ ზრუნავდენ თავის მასაზრდოებელ გლეხთა კეთილდღეობისათვის და ამიტომაც იყო, რომ მთლად ეს კუთხე — ბორჩალოს, წალკისა და თრიალეთის ქართველობა — გადაგვარების გზას დაადგა!..



კონსტანტინე იოსების-ძე სვიმონიშვილი
ბორჩალოს მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლი

დღეს მეტად უმწეო სურათს წარმოადგენს იგი: ქართველთა სოფლები აქა-იქ თუ მოიპოვება, მკვიდრი ქართველობაც ისევე ცხოვრობს: როგორც მის გარშემორტყმული ხალხი: თარაქამა თათრობა, სომხობა, ბერძნობა, შიგა და შიგ რუსობა და ნემენცობა (თუმცა ეს უკანასკნელნი ადგილობრივ მკვიდრებზე გაცილებით მაღლა სდგანან თავისი მეურნეობა-განათლებით).

თითქმის არსად სკოლა, არსად კულტურული ცხოვრების ჩანასახი, — ქართველი მღვდელიც-კი იშვიათია, ქართველებს ბერძენთა მღვდელი თუ მიხედავს ხოლმე, ისიც აღდგომას, ანუ მიცვალებულის დაკრძალვის დროს და ქართველ მრევლს თათრულად ელაპარაკება.

აი, სად იყო საჭირო არა მხოლოდ ძლიერი სიტყვის კაცი, მკვირცხლი კალმოსანი, არამედ, უფრო მეტად, ძლიერი ხასიათის, მკვირცხლი მოძრაობისა და ხალხის მოყვარული გულით გამთბარი მოსაქმე-მომქმედი კაცი.

და ასეთი კაციც მოევლინა ამ ბედისაგან მიტოვებულ კუთხეს...

ეს არის ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა

წინამძღოლი კონსტანტინე იოსების-ძე სვიმონიშვილი, ანუ—როგორც ეძახიან: „ჩვენი კოტე სვიმონოვი“,—რომელიც ხუთი წელიწადი იქნება, რაც ხალხს ნამდვილი მამად, მადლმოსილ წინამძღოლად მოევლინა. მან საქმით, უცვირლად, უმაუროდ დაამტკიცა რაოდენი სიკეთის მოტანა შეუძლიან ხალხის ნამდვილ გულშემატკივარს, თუ მოინდომა, ისე რომ არც კანონიერი ფარგლები გადალახოს, სახელმწიფოებრივი ინტერესებიც დაიცვას და მშობელი ერის გულს მოწყვეტილი ბეჩავი ხალხიც გულისხმას ჩააგდოს, გადაგვარება-დადუპვისაგან დაიფაროს!..

ვინ იყო და რა წინად კ. ი. სვიმონიშვილი, ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, ხოლო დღეს რომ იგი ეროვნულ-ხალხურ საქმეს გულწრფელად მთელის თვის არსებით ემსახურება, ამას ათეულ ჭუოფს მისი საქმენი!...

რა გააკეთა ანუ რას აკეთებს კ. სვიმონიშვილი?

კ. სვიმონიშვილმა: 1) შექმნა ქართული საქველმოქმედო საზ-ის ადგილობრივი განყოფილება (დღეს 100 წევრი ჰყავს), რომლის თაოსნობით (კოტე სვიმონიშვილის თაოსნობით) ა) ქ. შ. წ. კ. სა-ზ აბამ სკოლა გაათუძნა ს. წერაქვში, ბ) ქართ. საქვ-მოქ. საზ-ის თავარმა გამგეობამ 1000 მან. გადასდო ბორჩალოს მაზრის ქართულ სკოლებში (დიდი გომარეთის, ყალამშიისა და აკაურთის) შადეულობის ქსოვის სწავლების შემოსაღებად (ამ დარგს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ მკვიდრთათვის); 2) დააფუძნა წითელი ჯვრის განყოფილება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კუთხისათვის, რადგან აქ მესაქონლეობას ფართო ადგილი უკავია და ამ დარგში გონივრული დარიგება-ხელმძღვანელობა ფრიად საჭიროა; 4) როგორც სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ ხალხს ურჩია და სოფლიდან მინდვრად ძალით გააზიდვინა უამრი სასუქი. ამით ერთის მხრივ თუ, შედარებით, სოფელი გაასუფთავა, მეორის მხრივ მინდვრის გაპოხიერება უჩვენა ხალხს. ხალხმა დაინახა მისი ორგვარი სარგებლობა და ახლა თვითონვე, ძალდაუტანებლივ, ასუფთავებს სოფელს და აპოხიერებს გამოფიტულ მიწას. 5) ხალხის ნივთიერად წინ წასაწევად და ჩარჩთა ბრჭყალებისაგან თავდასახსნელად ს. ბაშქიჩეთში დაარსა სამეურნეო ბანკის განყოფილება, რითაც გლეხკაცობა დიდათ სარგებლობს; 6) შუამდგომლობა აღძრა, რომ დიდ გომარეთში დააფუძნდეს უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით და ქართული ენის სწავლებით, 7) ადგილობრივ მასწავლებელ დ. ძიძგურთან ერთად დაიწყო კოოპერატივის გახსნის საქმე და სხ.

იგი ყველა ზემორე დაწესებულებათა თავმჯდომარე ანუ თავჯდომარის ამხანაგია და ყველგან დიდის თავგამოდებით მუშაობს: მისთვის „ხვალ იყოს“ არ არსებობს, ყარს მომდევარი საქმე თავის დროზე უნდა გაკეთდესო.

ერთის თვალის შეხედვით ყოველივე ეს, თითქოს არაფერია, რომ კაცს სამოღვაწეო ასპარეზში ჩაეთვალოს, მაგრამ ვინც ჩვენს დაცემულ სოფელს იცნობს, სწორედ ასეთ მუშაობას დასდებს დიდს ფასს.., ხალხის სიბნელის გაფანტვასა და მის ნივთიერად აღორძინებას რომ ხელი შეუწყო,—განა ეს ნაკლები მოღვაწეობაა?!

მაგრამ ყველა ამაზე უფრო ღირსშესანიშნავია კ. ი. სვიმონიშვილის ნამდვილი მამულიშვილურ ხალხოსნური მოღვაწეობა.

მისი მუშაკობის შესახებ, სხვათაშორის, შევეკითხენით დიდი გომარეთის ქ. წ. კ. სკოლის მასწავლებელს დავ ძიძიგურს, რომელმაც შემდეგი მოგვწერა:

„კოტე სვიმონიშვილი!—ეს ისეთი სახელია, რომელსაც სიყვარულითა და დიდებით იხსენიებს ბორჩალოს მხრის ყველა ქართველი, მას უყვარს ისინი და უკანასკნელნიც ერთ ულ და მოყვარული მამასავით შესცქერიან მას. სვიმონიშვილი ყოველთვის მალამოდ ედება ბორჩალოს ქართველობის წყლულსა და იმისთვისაა რომ გაჭირვების დროს ყველა მასთან მიდის, ყველა მის კალთას აფარებს თავს... ბ-ნი სვიმონიშვილი დაუღალავად მოგზაურობს ბორჩალოს ქართველთა სოფლებში და ყველგან შეაქვს მამულიშვილური გრძნობა, თვითშეგნება და სწავლა-განათლებისადმი სიყვარული..

მოუსავლობისა და შიმშილობის დროს ის ბევრ სოფელს დახმარებია-და სრულიად უსასყიდლოთ აღმოუჩენია მათთვის დახმარება. „კარი ჩემი ღიაა თქვენთვის, თავი ჩემი მზ თაა თქვენი სამსახურისთვისო“, მუდამ ეუბნება სოფლელებს და აკი ყველა თავისუფლად გრძნობს თავს მასთ ნ.,. ყველა დაურიდებლად მიდის მასთან...

ძუმცა იგი ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ახალგაზდა მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე**

მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობს. შარშან კონცერტი გამართა ქუთაისში. მისი პირველი დებიუტი გაიმართება სახაზ. თეატრში ამ მოკლე ხანში (მონაწილეობს ოპ. „ლაკმე“-ში. შეასრულებს ნიკოლანტოს პარტიას).

---

# ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. 1915 წ. „თ. და ც.“ № 42—52 *)

## მეოთხე მოქმედება

(მესამე და მეოთხე მოქმედების შუა გადის ექვსი თვე. სცენა: მარიამ დედოფლის საწოლი ოთახი)

I

**მარიამ დედოფალი**, ამისი შვილები: **თამარ** და **ჯიბრაილ** და ამათი გამდელი **მზეხათუნ**.

**მზეხათუნ** (შემოდიან შუა კარით.) ჰო, კარგია, კარგი, ერთი! გეყოფა მეთქი! სულ მაგას გეუბნები, სახეს ნუ იფუქებ, წარბებს ნუ ჰმუხავ, შუბლს ნუ იკეცავ, დედოფალო ჩემო! იფუქებ შენ მშვენიერს სახეს და ან რისთვისა შვრები მაგას?

**მარიამ**. ოჰ, გადია, დაანებე მაგას თავი! მომწყინდა, ენდე ღმერთს, შენი საყვედური. ვის რად უნდივარ ახლა მე და ვის რისთვის უნდა ახლა ჩემი სილამაზე?!

**მზეხათ**. მოგწყინდა ჩემი საყვედური?.. მე მოგწყინდი?.. ეს კარგი ამბავია! მე გაგზარდე, აი ამ ჩემს ახლა გამხმარს გულზედ და ახლა მოგწყინდი?.. დათხოვნას ხომ არ მიპირობ?.. როგორ არა, დაგიჯერებ და გავიქცევი, აი! შენ გავიწყდება, რომ მრთელ ციციანთ გვარის გამდლებში მე ვარ ყველაზედ უფროსი, რომ საქართველოს დედოფალი ამ ჩემი ძუძუთი არის აღზრდილი!.. მე ვერსად ვერ გამაგდებ!

**მარიამ**. ახა, ღმერთო! დაიწყო ახლა თავისებური ბუზღუნი!

**ჯიბრაილ**. დედა! დიდი ხანია შენ ჩვენთან აღარ გითამაშნია, დიდი ხანია არც გაგიცინია, როგორც იცოდი ხოლმე...

**თამარ**. სულ მოწყენილი ხარ, დედა, დაფიქრებული...

**მარიამ**. ოჰ, შვილებო, შვილებო! თქვენ არ იცით რი ამბავია ამ ჩემს დატანჯულს გულში, რა დროს სიცილ-ხარხარია, შვილებო? მე უქეიფოდა ვარ, მალე გამივლის და ისევ სიცილს დავიწყებ თქვენთან, ხარხარს და თამაშს.

**მზეხათ**. აბა, ბავშვებო, მოდით აქ, ტახტზე დასხედით და ითამაშეთ!.. ნუ ხარ, ქალო ჯიუტი! ჩემო მზეთ უნახავო! რა არის მართლა, გაშალე შუბლი, ერთი გამიღიმე!

**მარიამ**. მზეხათუნ! თავს ნუ მაბეზრებ! რა დაგემართა? რა არი!, ჩემი სილამაზე ხომ არ შეგიყვარდა, რომ ჩამაცივდი, გაშალე შუბლი და გამიღიმეო!?

**მზეხათ**. კარგია, კარგი! ნუ ჯავრობ, ჰო, აი ახლავე დავუძახებ შენს ახალგაზრდა გოგოთა ამალას, ვამღერებ, ვაცეკვებ, ვათა-

*) მსურველთ, ამ პიესის დასაწყისი—„თ. და ც“. №№, სულ 10 № გაეგზავნება 1 მ. გამოგზავნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშებ და გამხიარულდებით შენცა და შენი შვილებიცა.

**მარიამ.** არ მინდა, ქალო, არა! არ დამეხსნები? ნურავის ნუ დაუძახებ, არ მინდა! მარტოდ ყოფნა მინდა ამ ჩემს შვილებთან.

**მზეხათ.** დიახ, არ გინდა, ეს არის დაგიჯერე რაღა! შენს ოჯახში თავდარიგის მიმცემი მე ვარ და ეს ჩემი საქმეა და არა შენი. დამანებე თავი, როგორც უფროსს გამდელს, მე მეკითხება ყოველივე შენ ოჯახში, როგორც ძველად ქართველთა ჩვეულებაა და ადათია... ბავშვებთან გინდა დარჩენა, რა თქმა უნდა, კი არ გაგართობენ, ბრაზს მოგგვრიან! (გადის ბუზღუნით)

## II

**მარიამ, თამარ** და **ჯიბრაილ.**

**მარიამ.** უჰ! ხანდახან თავის მობეზრება იცის ამ ჩვენმა გადიამ.

**თამარ.** იცი, დედი, გადია ხანდახან მცემს ხოლმე, როცა ავხირდები და ისე მწარედ იჩქმიტება, რომ...

**მარიამ.** მეც ბევრჯელ გაულახვივარ გადიას, როცა შენსავით პატარა ვიყავი. ეხლა კი მზად არის ჩვენ ყველანი დაგვლახოს თუ გავაჯავრეთ!

**ჯიბრაილ.** მე ველარ გამლახავს, ახლა მე დიდი ვარ!

**მარიამ.** თქვენ, შვილებო, გადია მზეხათუნი უნდა გიყვარდეთ, არ უნდა გააჯავროთ, ეგ დაბერდა და სულ ჯავრობს. ჩვენ ყველანი იმისი გაზრდილები ვართ, ყველაზედ უფროსი გამდელია. ყური უნდა უგდოთ ხოლმე, ჩვენ ვუყვარვართ და ამიტომაც პატივის ღირსია. ჯიბო, ნუ აჯავრებ მზეხათუნს, თორემ მართლადაც გაგლახავს როდისმე და მაშინ მე ველარ დაგეხმარები. ამ ოჯახში ყველაზედ უფროსია.

**თამარ.** (ჯიბრაილს) აბა გააჯავრე ერთი, ისე დაგჩქმეტავს, რომ სულ ცრემლებს გადენინებს!

**ჯიბრ.** დიახ, იმისი მე არ მეშინიან!

**მარიამ.** კარგია, შვილებო, დაწყნარდით! აიღეთ რუსთველის წიგნი და წაიკითხეთ!

**ჯიბრ.** ვეფხის-ტყაოსანი, დედი? შოთასი?

**მარიამ.** ჰო, შვილო, გადიკითხე ის ადგილი, გუშინ რომ გიჩვენე, ზეპირად დაისწავლე და მერე მითხარი. (ჯიბრაილ აიღებს რუსთველის წიგნს და თამართან ერთად დაიწყებს ჩუმად კითხვას)

## III

იგინივე და **მზეხათუნ** ქალთა ამალით.

**მზეხათ.** აი, ახლა ვიმხიარულოთ!

**მარიამ.** შენ მაინც შენსას არ იშლი! აკი გითხარი, არ მინდა არც სიმღერა და არც ცეკვა-თამაში!

**მზეხათ.** როგორ თუ არ გინდა? მაშ ესენი აქ რად შემოვიყვანე და ხელსაქმეს მოვაცდინე?.. ითამაშეთ, იმღერეთ, იცეკვეთ!

**მარიამ.** ახა, ღმერთო! ნუ იცი ჩაციება ციებ-ცხელებასავით! არაფერი არ მინდა, არ გესმის, დედაკაცო?

**მზეხათ.** კარგი, კარგი, ბატონო! არ გინდა! იყვეს ნება შენი! შენი გართობა მინდოდა, ჩემო მზევ, მოწყენილი რომ ხარ... არ გინდა და აგრე იყოს... ეჰ, შემოგხედავ თუ არა, გული სევდით მევსება, რომ ე მაგისთანა მზეთუნახავი მშვენიერება აგრე ჰზიხარ და სწუხარ!.. გათხოვდი და ყოველი სევდა გაგივლის!

**მარიამ.** გავთხოვდე? შენ ხომ არ აპირებ ჩემ შერთვას?

**მზეხათ.** იჰ, მე რომ ვაჟკაცი ვყოფილვიყავი, განა მოგშორდებოდი, ისეთი კარგი რამ ხარ, რომ შენს კალთას კევივით დავეკვროდი.

**მარიამ.** თავი დაანებე მაგისთანა მასხარაობას, ხომ იცი რომ მე ეგ მეჯავრება და არ მიყვარს როცა შენ აგრე ხშირად მაგონებ ჩემ სილამაზეს!.. ეჰ, ჩემო მზეხათუნ, ვის რაღად გამოადგება ახლა ჩემი სილამაზე, რომელიც ჰქნება და ჰქნება.

**მზეხათ.** რა გიყვარს და რა არ გიყვარს, ეგ ჩემი საქმე არ არის! ვის რაღად გამოადგება შენი სილამაზე, შენა ბრძანებ?.. არავის არ უნდა?.. ლაზარე ღენერალს განა არ მოსწონს შენი სილამაზე?.. სულ შენს ბოდვაშია! რამდენჯერ უჩუქებია ჩემთვის ფული, რომ იმასთან მარტოკა დამეტოვებინე...

**მარიამ.** ჰკუაზედ ხომ არ შეიშალე, რომ მაგას ამბობ, ამათთან?

9
ეროვნული ბიბლიოთეკა

**მზეხათ.** რა არის მერე?.. შენ შვილებს არ ესმით, აგერა წიგნზედ არიან თავ-დადუნული და ეს გოგოები კი სულელები არიან, რას მიხვდებიან?!

**მარიამ.** გეყოფა! კარგი! თავი მომაბეზრე, ჩემმა მზემ!.. ლაზარევი?.. ღმერთმა შეინახოს, რას მარგია იმისი სიყვარული?

**მზეხათ.** არ მისთხოვდებოდი?

**მარიამ.** ვისა?.. ლაზარევს?..

**მზეხათ.** დიახ, იმას, ჰო, ღენერლის ცოლი გახდები...

**მარიამ.** ღმერთო ჩემო! დღეს შენ ჭკუაზედ შემცდარხარ!.. რაებს მიჭკარავ?! მე, ჩემს დედოფლის ღირსებას გავცვლი ღენერლის ღირსებაზედ?!. შე სულელო, დღეს რამ გამოგაშტერა? მე ხომ საქართველოს დედოფალი ვარ!..

**მზეხათ.** დედოფალი!! ივ, ივ, ივ!.. სამეფო გაგიყიდნიათ და დედოფალი კი ბრძანდები!.. რის დედოფალი ხარ ახლა? შენ ხარ უწინდელი მეფის ქვრივი და სხვა არაფერი! და ახლა ცარიელზედა ბრძანდები!.. ძვირად გაჰყიდეთ სამეფო?.. აი, შემოუშვით აქ უცხონი, რაც გებადათ ყველა იმათ დაუთმეთ და ახლა... დედოფალი ვბრძანდებიო! უჰ, უჰ, უჰ! რა დიდი რამ ქალბატონი ყოფილხარ!

**მარიამ.** გეყოფა, მეთქი, ყბედობა! არ გესმის? სიბერისაგან, მგონია, ჭკუა შეგთხელებია შენა!

**მზეხათ.** დიახ, თქვენთან ყოფნით ჭკუაც შეუთხელდება ადამიანსა და სხვა ყოველიფერიც, რომ ჭკუას მიუწდომელ საქმეს სჩადიხართ!

**მარიამ.** ახა, ღმერთო!.. რა უნდა გელაპარაკო, გამოტვინებულო ბებერო, რომ არა გესმის რა, ბუზღუნის მეტი!.. წადი, წაიყვა ბავშვები ბიძია ბაგრატასთან!.. ოთარ ამილახორზედ ვინც გაგზავნე ჯერ არ მოსულა?

**მზეხათ.** დიდი ხანია მოვიდა, მთელი ქალაქი შემოვირბინე და ამილახორი ვერსად ვერა ვნახეო.

**მარიამ.** მამი ჩემის მსახური ხომ არ მოსულა?

**მზეხათ.** ჯერ არა, არ მოსულა!

**მარიამ.** კარგია! წაიყვა ბავშვები ძიასთან.

**მზეხათ.** თქვენ, ეჰეი! ადექით, თამრო, ჯიბო, წამოდით ძია ბაგრატი ვნახოთ. (ამსალას) თქვენც წადით სიჭირო აღარა ხართ.

**მარიამ.** წადით, შვილებო და ბიძია ბაგრატი მომიყვანეთ აქა.

**ჯიბრაილ.** ესა?.. ვეფხის ტყაოსანი?

**მარიამ.** მერე იყოს, შვილო, მერე! (გადიან ყველანი, მარიამს გარდა)

## IV

**მარიამ.** (მარტო) ოჰ, ღმერთო! რა სულელია ეს გამდელი! სულ ლაზარევზედ იძახის. უყვარხარ და უყვარხარო!.. დიაღ, ვუყვარდე, რამდენიც უნდოდეს, თუმცა ეს მე საწყენად მამაჩნია, მაგრამ იქნებ დამეხმაროს როგორმე და ხელი გამიმართოს ჩემს ბედში და შემისრულოს რამე სასარგებლო საქმე... არა, არა! იმისი ნდობა საეჭვოა და იმისაგან კეთილს რასმე არ უნდა ველოდე!.. არა, არა!.. თუ დამეხმარება ვინმე, დამეხმარება მხოლოდ ისევ საყვარელი მამა ჩემი და სხვა არავინ!.. ნეტა ვიცოდე, აქამდისინ რატომ არას მატყობინებს ჩემს გასვლაზედ ამ ქალაქიდან, ეს ძალიან მაწუხებს... გაპარვა იმერეთს, სოლომონ მეფესთან... რა გამოვა?.. ვითომც დამიხსნის მე და ჩემ შვილებს რუსებისაგან?.. არა მგონია!.. მაშ, რა ვქნა, რა ვქნა ღმერთო, ძლიერო შენ ჩამაგონე!.. ჩემი დარჩენა თბილისს აღარ შეიძლება... ყოველგან მზვერავები დამსდევენ, ყოველს ჩემს ნაბიჯსა სთვლიან... ლაზარევის დარაჯნი სახლის გარს შემორტყმულ არიან და ფანჯრებშიაც კი იჭყიტებიან... თვითონ ლაზარევი დღეში ორჯელ მოდის, თანაგრძნობას მიცხადებს. სამსახურსა მთავაზობს... ჰმ!.. პოლიციის უფროსი ყოველ დილით აქ არის, მსახურთ ეჩურჩულება, ეკითხება ჩემზედ, ვინ იყო ჩემთან, რაზედა გვქონდა მუსაიფი, რასა ვჩავდივარ... ოჰ... აუტანელი მდგომარეობაა... გადუწყვეტელი ბედი ჩემი და ჩემი შვილებისა, არ ვიცი, რა მოგველის... მთავრობისაგან შევიწროება, ჩემთა ნათესავთა დაუცხრომელი მტრობა და ღალატი... სულ ეს მაწუხებს დავსტოვო ჩემი მიწა-წყალი, ჩემი სამშობლო და იმერეთს შევაფარო თავი... მაგრამ... შეიძლებს კი სოლომონ მეფე ჩემს

მფარველობას?.. იმერეთში ახლა ისეთივე არეულობაა, როგორც აქ იყო. სოლომონის მტერნი მოსვენებას არ აძლევენ... რა ჩემი თავისა სცხელა ახლა იმას... ღმერთო, შენ მოხედე! ღმერთო ყოვლად მოწყალეო, შენ მომეც მე ძალა და მიხსენ მე!.. სპარსეთს მივმართო?.. ანუ ოსმალეთს?.. მერე ჩემი სილამაზე? დამღუპავს სრულებით ეს ჩემი სილამაზე!.. დავიმახინჯო თავი? რა გამოვა? მიშველის რამეს სიმახინჯე? არა, უარესი მომივა... აჰ... რა ვქნა, რა ვქნა? რა გზას დავადგე? ყოვლად სახიერო ღვთისა მშობელო, შენ დამაყენე რიგიან გზას... როგორ ავიტანო ეს საშინელი ტანჯვა?.. ციციშვილს მივმართო? მგონია ურიგო არ იქნება! როგორც მთავარმართებელი საქართველოისა და იმპერატორის რწმუნებული კაცი და როგორც ჩემი ნათესავი, შეიწყნარებს ჩემს ვედრებას, იცნობს ჩემს მწარე მწუხარებას და თავს დამანებებს, დამაცლის აქ გავათიო ჩემი სიცოცხლე... შვილები?.. ჰმ!.. შვილები! ამათზე ფიქრია საჭირო... ოჰ, შვილებო, რა მომავალი მოგელით, რა ბედის ვარსკვლავი აღმობრწყინდება თქვენს თავზედ?.. თავი მოვიკლა?.. ეჰ, აქედანაც არა გამოვა რა, მხოლოდ მტერი გაიხარებს და ნიშნს მომიგებს... ბაგრატი და ოთარი?.. ჰო, ამათ შეუძლიანთ ჩემი შველა... მაგრამ... არა... ორივე რუსთა მომხრენი არიან და დიდი ერთგულნი, მე ესენი არ გამომადგებიან... მამა?.. ჰო... საქმე მამაზედ არის დამყარებული ახლა, მაგრამ აქამდისინ რომ არსადა სჩანს, ლამის ჭკუა შემეშალოს.

**კ. ყიფიანი**

(გაგრძელება იქნება)

# გასული წელი

(მოკლე მიმოხილვა)

**ცხოვრება** გასულ წელს თანდათან უარესდებოდა; ომიანობის გაძლიერებამ მოითხოვა ახალ-ახალი მსხვერპლი, ბრძოლის ველზე გაიხმეს შეღავათიანები და ახალგაზდანი, ვადაზე ადრე, სოფელსა და ქალაქს მოაკლდა მუშა ხელი, ბევრ წარმოებას მწარმოებელი ხელი, დასავლეთ საქართველოს წყალდიდობამ უზომო ზიანი მიაყენა, აღმოსავლეთ საქართველოში მოუსავლობამ დასცარა ხალხი, პირველ მოთხოვნილებათა საგნებზე თითქმის ერთი სამად და ხუთად იმატა ფასმა, მიმოსვლის მოუწეს-რიგობამ ქვეყანა გასაჭირში ჩააგდო...

**თეატრი** თუმცა ხალხით ივსებოდა, მაგრამ მუდამ თავის შესაფერის დონეზე ვერ იდგა; მაყურებელ საზოგადოებას უმეტესად ძველი პიესებით ჰკვებავდა, აღმსრულებელი ძალნიც—მსახიობნი და სცენის მოყვარენი—ომიანობით გამოწვეულ მშფოთვარს ცხოვრების გამო თავის მოვალეობას ყოველთვის ღირსეულად ვერ ასრულებდენ.

**თბილისის ქართ. დრამ. დასი** დაქსაქსული იყო, მსახიობნი წარმოდგენებს მართავდენ კლუბთა სცენებზე; დრამ. საზ. გამგეობამ წლის მიწურულს ძლივს იშოვა დღეები სახ. სახლში და ცირკში. დასი უკეთეს მსახიობთაგან შეადგინა და სუბსიდია გაუჩინა. იგივე დასი წარმოდგენებს სდგავდა: ხარფუხის, ხელოსანთა, ნოქართა და სხ. კლუბის სცენებზე. საზოგადოება მუდამ ესწრებოდა.

**სახალხო სახლთან** არსებული წრე გაცილებით უკეთეს პირობებში იყო: წარმოდგენებს წესიერად მართავდა, გამოცდილ რეჟისორის კ. შათირიშვილის ხელმძღვანელობით, ხალხიც მრავლად ესწრებოდა. რეპერტუარი—უმთავრესად თანამედროვე პიესები, ნათარგმნი და ორიგინალური იყო. სახალხო სახლს უკვე თავისი მუდმივი მაყურებელი ჰყავს, წრის გამგეობა და სცენის მოყვარენი ბეჯითად მუშაობდენ. სახალხო სახლში სხვა ერთა წრეებიც მართავდენ წარმოდგენებს, მაგრამ არც ერთს იმდენი ხალხი—ნამდვილი ხალხი, არ ესწრებოდა, რამდენიც ქართულს.

**ავლაბრის წრემ** შემოდგომის სეზონი ველარ დაიწყო, რადგან შენობა ჩამოართვეს. აქა-იქ მუშაობდენ შემთხვევითი სცენის მოყვარენი.

10

**ნაძალადევის თეატრში** სცენის მოყვარენი მუდმივ სდგამდენ წარმოდგენებს ადგილობრივი წრის თაოსნობით.

**საბურთალოს თეატრში** ახალმა გამგეობამ დაიწყო წარმოდგენები; ზოგჯერ სალიტერატურო დილა-საღამოებსა და ლექციებსაც მართავდენ.

**მუსულმანთა აუდიტორიაში** შემთხვევითი სცენის მოყვარენი მუშაობდენ. წარმოდგენებს გამოცდილი ხელი აკლდა.

**კლუბთა შორის** უფრო მეტი კულტურულ-საზოგადოებრივი ალღო გამოიჩინა „ხარფუხის საზოგადო კლუბმა“, რომელიც ახალ შენობაში გადავიდა, მოაწყო სცენა, ქართ. დრამ. დასს კვირაში ერთი საღამო დაუთმო, ხოლო თვითონ მართავდა მუსიკალურ, სალიტერატურო და სხ. საღამოებს. „ახალმა კლუბმა“ დამწვარ თეატრის ნაფერფლზე ააგო ახალი კოპწია სცენა, უცხო და მოწყობილი, წარმოდგენების სეზონი დაიწყო ქრისტეშობისთვის მიწურულს. „ნოქართ. კლუბიც“ დრო გამოშვებით მართავდა ქართ. წარმოდგენებს.

**ქუთაისის დრამ. საზ-ბამ** სეზონის გაძღოლა თვით ვერ იკისრა, მაგრამ შალვა დადიანის თაოსნობით შედგენილ დასს კი ხელი შეუწყო და დასმაც—„ახალი დრამის“ სახელწოდებით—წარმოდგენები დაიწყო; დასში ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მსახიობნი არიან. დასმა თანდათან მიიზიდა საზოგადოება, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი და მოზარდი თაობა რეპერტუარი: თანამედროვე, კლასიკური და ისტორიული პიესები. რამდენიმე ახალი პიესაც დაიდგა. ამავე დასმა რამდენიმე წარმოდგენა გამართა ბათომში.

**ბაქოს დრამ. წრემ** თადარიგი ადრევე დაიჭირა, დიდი ბეჯითობაც გამოიჩინა და საუკეთესო რეჟისორიც (ვ. შალიკაშვილი) გაიწვია, რომლის მონაწილეობით რამდენიმე წარმოდგენაც დადგა, რომელსაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა, მაგრამ ოთხი თუ ხუთი წარმოდგენის შემდეგ ვ. შალიკაშვილი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა (პლევრით) დასს ჩამოშორდა, რის გამოც წრემ რეჟისორად ი. ზარდალიშვილი მოიწვია. წარმოდგენები შეუწყვეტლივ იმართებოდა (საკუთარი ბინის უქონლობის გამო) სომეხ. კულტ. საზ-ის დარბ.

**დ. ხაშურის დრამ. წრემ** გასულ წელსაც დიდი ბეჯითობა გამოიჩინა და წარმოდგენებს შეუწყვეტლივ მართავდა, განსაკუთრებით ზაფხულში.

**ჭიათურაში** სცენის მოყვარეთა წრე მუშაობდა ვ. არაბიძის რეჟისორობით.

**ბათომს, სიღნაღს და ბაქოს** ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრენი შესდგა.

**ველისციხეშიაც** ადგილობრივი სცენის მოყვარენი მუშაობდენ.

**ქ. გორს, ქ. თელავს** და სხ. დაბა-სოფლებში იშვიათად იმართებოდა წარმოდგენები, უმეტეს მოსულ მსახიობთაგან.

**კულტურულმა მუშაობამაც** ფრთა გაშალა; შესდგა საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი (წესდებაც დაუმტკიცეს), ქ. შ. წ. კ. ს-ის საზოგადო კრებამ საწევრო გადასახადი 1 მ. დაიყვანა, საზოგადოების კრებებს მუდამ ბლომა ხალხი ესწრებოდა, საქართველოს ზოგ დაბა-სოფელშიაც დაიწყეს მუშაობა. ქართ. კულტურის მოყვ. საზოგადოება წესიერად მართავდა კრებებს, რომელზედაც სხვა და სხვა მოხსენებათ კითხულობდენ და კამათი იმართებოდა, აგრეთვე ისტორიო-საეტნოგრაფიო საზ-ამ რამდენიმე საჯარო კრება გამართა. გასულ წელსვე შესდგა ქუთაისში სახ. მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება.

**ქართულ ეროვნულ მუსიკას** გაცოცხლება დაეტყო. დ. არაყიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ნ. სულხანიშვილი და სხ. სასულიერო და საერო ჰანგებს ჰკრებდენ და იმუშავებდენ. კომპ. კ. ფოცხვერაშვილმა რამდენიმე საერო—სასულიერო კონცერტი გამართა, ლექციითურ, ზ. ფალიაშვილმა სრულ ჰქმნა თავისი ოპერა. აღსანიშნავია მ. კავსაძის მიერ გამართული ხალხური კონცერტებიც და წლის მიწურულს ქართულად დადგმული (ორჯელ) ოპერა „რიგოლეტო“, კ. დოდაშვილის მიერ თარგმნილი. ნამდვილი ქართული ეროვნული ოპერა ჯერ კიდევ ვერ ვნახეთ, მაგრამ იმედია, მალე ვნახავთ: ქართულ ეროვნულ ჰანგების შეკრება-დამუშავება და ქართველ ახალგაზდა მომღერალთა—ქ-ნ შავერზაშვილის, ბბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინაშვილის, ლორთქიფანიძის, ლეჟავას და სხ. გამოჩენა ამისი თავდებია.

**ქართული მხატვრობა** განვითარების საკუთარი გზის ძიებაშია. ეს დაგვიმტკიცა მ. თოიძის გამოფენამ. გასულ წელსვე გამოჩნდნენ უფრო გაბედვით—ახალგაზდა მხატვარნი (ვ. ს.-ერისთავი, ა. ციმაკურიძე, შ. ქიქოძე, ლ. გუდიაშვილი, გ. მესხი და სხ.), რომელნიც შეუდგნენ ქართველთა ყოფა-ცხოვრების დასურათხატებასა და ქართველ მწერალთ ნაწარმოებთა დასურათებას...

**მოქანდაკობა** თითქმის ერთი კაცის—ი. ნიკოლაძის—ხელთვე იყო. მან შეჰქმნა აკაკის ალალმა და ორიოდე რამ. ამ დარგში სანუგეშო იმედს იძლევა მსახიობ-მხატვარი—მ. ქიაურელი.

**ქართულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ** ცაზე კი... „ღრუბლები აირია“, თხუთმეტი წლის წინად და მას შემდეგ წარმოებული პარტიული კამათი დროითი დრო კიდევ იფეთქებდა ხოლმე, მაგრამ თითქმის ყველა წრე ჩვენს ეროვნულ ერთიანობას მოითხოვდა.

სამაჰმადიანო საქართველოდან რამდენიმე ჯგუფი სამართალში მისცეს, როგორც სახელმწიფო მოღალატენი, მაგრამ ეს ბრალდება უარყოფილ იქმნა; მიუხედავად ამისა, ზოგიერთნი დასაჯეს. ქართველი მაჰმადიანები-აჭარლები დაუახლოვდენ ძველ მოძმეთ—ქრისტიან ქართველობას. კავკასიელ მაჰმადიანთა და ჩვენს შორის მეზობლური ურთიერთობა უფრო განმტკიცდა.

**კოოპერატიულმა მუშაობამაც** განზე გაიწია და საქართველოს რამდენიმე დაბა-სოფელში დააფუძნეს ესა თუ ის ამხანაგობა, წლის მიწურულს კახეთში შესდგა კახეთის კოოპერატორთა კავშირი.

**ჟურნალ-გაზეთებს** მაინც და მაინც კაი ამინდი ვერ დაუდგა. ქაღალდისა და სხვა სამუშაოს უზომო გაძვირებამ ბევრს გაუჭირა საქმე და მოულოდნელი ხარჯები მოსთხოვა. უქაღალდობისა გამო წლის დამაწყისშივე დაიხურა:

„შადრევანი“, „თემი“, „ახალი კვალი“. შუა წელში—„ხმა კახ“ და „ახ. ქართ.“ გამოდიოდა თბილისში გაზეთები: „სახალხო ფურცელი“, „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“ („კლდე“ ს მაგიერ), საორშაბათო „ზვირთი“; ჟურნალები: „განათლება“, „თეატრი და ცხოვრება“ (შეუჩერებლივ) და „ეშმაკის მათრახი“; საყმაწვილო: „ნაკადული“ და „ჯეჯილი“. ქუთაისში გამოდიოდა: გაზ. „სამშობლო“, შემოდგომიდან—„მეგობარი“, ჟურ. „განთიადი“. თბილისში გამოსაცემად განზრახული „ახალი მოამბე“ უქაღალდობის გამო და მუშათა უშოვნელობით ველარ გამოვიდა. დღიური გაზეთები უმეტესად საპოლემიკო, პუბლიცისტურ ხასიათის წერილებითა და ომის ამბებით კვებავდენ მკითხველთ.

**მწიგნობრობის ბაზარს** საიმედო არასფერი შესძენია: გამოიცა ორიოდე სამეცნიერო წიგნაკი, აჭარელთა შესახებ გაზეთი და სხ.

**ქართული დრამატურგია** არ იყო ნაყოფიერი: დუტუ მეგრელის „მწირი სარდალი“, დ. მესხის—„მოფურჩხულია“, გრ. საქარიქედელის „მოსე მწერალი“ (გადმოკეთებული), ტრ. რამიშვილის „ჭკუა მხიარული“, ს. ერთაწმინდელის „ლურჯი ხალათი“ და სხ. გასულ წელსავე დაიწყო ჩვენს ჟურნალში კ. ყიფიანის პიესის „ბედი ქართლისა“ ბეჭდვა. მართალია, ბარე ოცამდე პიესის სახელი გამოცხადდა, მაგრამ ჯერ არც ერთს სცენა არ უნახავს. საზოგადოდ ჩვენმა დრამატურგებმა გასულ წელს თითქმის ვერაფერი შექმნეს. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება კი მდიდარს მა,ალას იძლევა დრამატიულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

**ბელეტრისტიკაც** ვერ იყო ნაყოფიერი: თვალსაჩინო ვერაფერი გამოშჟავნდა; დიდი ჟურნალის უქონლობის გამო, ჩვენი მწერლები განსაკუთრებით მინიატურების წერას მისდევენ.

**გარდაიცვალნენ:** აკაკი, ნიკო ლომოური, ვაჟა-ფშაველა, ვ. გელოვანი, ჰოლა ლომთათიძე.

ვისურვოთ ეს მომავალი წელიწადი მაინც ნაყოფიერი იყოს ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრ ის, თეატრისა და მწერლობისათვის და ასეთ ზარალსაც, რაც დაგვემართა, ავცდენოდეთ...

**ი—თელი**

# სახ. თეატრის ისტორია

## მოგონებანი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." 1915 წ. № 51)

1898 წლის ენკენისთვიდან განახლდა წარმოდგენების მართვა 1899 წ. მაისამდე. სექციაში ირიცხებოდნენ: მარ. დემურია, გ. ლასხიშვილი, ი. ქუთათელაძე, თავ. ს. რ. ვახვახოვი და სვ. ჯუღელი. მთელ სეზონში სექციამ ავჭალის აუდიტორიაში დასდგა 14 წარმოდგენა, დაესწ. 4,466 კაცი, ყველა რიგების ფასი ისევ მაური იყო. სულ შემოვიდა 223 მ. და 30 კ. ამას გარდა შემთხვევით შემოწირული 4 მ. 30 კ., სულ 227 მ. და 60 კ. და იხარჯა 249 მ. და 50 კ. ზარალი იყო 21 მ. და 90 კ. რომლის ნაწილი სცენის მოყვარეებმა და სექციის წევრებმა გადაიხადეს.



**გ. მ. ლასხიშვილი**

სახ. თეატრის სექციის წევრი. ზოგჯერ სცენაზედაც გამოდიოდა.

ამ სეზონში მონაწილეობდენ თითქმის წინანდელივე მუშაკნი: ქალნი—მ. დემურია, ს. ციციშვილი, ეკ. წულუკიძე, გვარამაძე, ტუეშელაშვილი, ოლ. ხავთასი და წერეთელი. კაცნი: გ. ანანიაშვილი, დ. შველიძე, მ. თუმალიშვილი, ის. ძნელაძე, იოს. იმედაშვილი, ერ. გულისაშვილი, სვ. ჯუღელი, ილიკო ზურაბიშვილი, ილ. სუხიშვილი, გ. ჯაბაური და სხ. ამ სეზონში, 14 იანვარს ს. ავჭალაში სასწავლებლის დარბაზში ერთი წარმოდგენა გაიმართა გლეხებისათვის უფასოდ („ციმბირელი" ცაგარლისა). ამ წარმოდგენაში პირველად გამოვიდა (მაშიკოს როლში) იქაური მღვდლის ქალი ოლა ლეჟავა (ახლანდელი ქართული თეატრის მსახიობიქალი). ამავე სეზონში სექციამ ორი წარმოდგენა „ნაძალადევში გამართა (რომელ[illegible]ც ქვეით გვექნება ლაპარაკი) და ამით გათავდა ეს სეზონიც.



**იერ. გულისაშვილი**

სახ. თეატრში სცენის მოყვარეთ ხშირად ჰრეჟისორობდა



**ი. ზურაბიშვილი**

1899—1914 წწ. მუდმივი სცენის მოყვარე.

**გ. ჯაბაური**

(გაგრძელება იქნება)

# ქართული სახიობა

**ბაქოს დრამ. წრემ** პარასკევს, 18/XII, ავადმყოფ მსახიბ-მწერლის ვ. შალიკაშვილის სასარგებლოდ წარმოადგინა პიესა „ზღვასთან" და ვოდევილი „ვაი ყობოს". პიესა ჩინებულად ჩაატარეს ბ-ნმა ი. ხარდალიშვილმა (მეთევზე), ქ-ნმა ქილარჯიშვილმა (მისი ცოლი) გ. პავლიაშვილმა (პასტორი) და ქ-ნი წულუკიძისამ. ბ-ნი ა. პავლიაშვილი (ექიმი) აჭარბებდა. დრამის შემდეგ ბევრი აცინა საზოგადოება ბ-ნმა ხარდალიშვილმა ვოდევილში. საზოგადოება დიდძალი დაესწრო და წარმოდგენის გათავებისას კმაყოფილიც დაიშალა. წმინდა შემოსავალი დაახლოვებით 600 მან. უდრის.

გულისაბა

**დ. ლანჩხუთში** 20/XII ადგილობრივ თეატრის შენობაში უმაღ. პირ.-დაწყებითი სასწავლებელთან არსებულმა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე კომისიამ გამართა სალიტერატურო საღამო სამ განყოფილებად: I განყ. მგალობელ ვაჟთა გუნდმა მწყობრად შეასრულა სამეფო ჰიმნი; შემდეგ სხვა და სხვა სკოლის მოწაფეებმა წაიკითხეს ქართ.-რუს, ლექსები, ვაჟთა გუნდმა შეასრულა ქართულად „მაღლიდან გადმომდგარიყო", რუსულად—ოპერიდან, და ბოლოს ქართულადვე— „სამშობლო", რომელმაც დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა და საზოგადოების თხოვნით გამეორებულ იქმნა. II განყ. მგალობელ ქალთა გუნდმა მწყობრად შეასრულა რამდენიმე სიმღერა და მოწაფეებმა ლექსები წარმოსთქვეს. შემდეგ წარმოადგინეს საყმაწვილო პიესა „პეტრიკა მოიწამლა". III განყ. დასდგეს ცოცხალი სურათები, ბოლოს გაიმართა ქალთა ცეკვა. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და დიდი ნასიამოვნებიც დარჩა. პატარა ქალიშვილებმა საუცხოვოდ წაიკითხეს ლექსები, რითაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს, ეტყობოდა, მასწავლებლები დიდად გარჯილიყვენ.

წმიდა შემოსავალი მოხმარდება ღარიბ მოწაფეებს, დიდი მადლობის ღირსია სასწავ. ინსპექტორი მამა ეპ. ჩხაიძე, ქალთა პროგიმნაზიის—ქ-ნი გამგე, ორკლასიანი სკოლის ზედამხედველი, და ყველა ის მასწავლებელი ანუ გარეშე პირი, რომელმაც ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს ხელი შეუწყო.

პ. ლესელი

# წვრილი ამბები

**ქართ. თეატრის** დაარსების აღსანიშნავად ქართ. დრამ. დასი თბ. „ახალ კლუბში", ხოლო „ახალი დრამის" დასი ქუთაისში და სხვა დაბა-ქალაქთა წრენი 2 იან. სხვათა შორის, წარმოად. „სამზადის"-ს.

**ქუთაისის ქ. შ. წ. კ. ს.** განყოფილებამ წიგნების გავრცელებისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრაში მოაწყო 20-დე აგენტურა, ასეთსავე აგენტურებს აწყობს გურიასა და ოდიშს. საქმეს თაოსნობს წიგნთგამომც. კომისიის თავმჯდ. სილ. ხუნდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხარუძის კლუბის** მამასახლისთა საბჭოს ახალი წლის შესაგებებლად ფრიად საყურადღებო პროგრამა შეუდგენია.

**პ. ირეთელი** სწერს ახალ 4 მოქ. პსიქოლოგ. ხიესას. პიესაში დასურათებულია თავად-აზნაურული და დემოკრატიული ინტელიგენცია.

**ს. გლახაშვილის** პიესა „ზღრვად“ (მსხვერპლი) ს. აბ——მა რუსულად სთარგმნა და, როგორც შევიტყეთ, ა. წუწუნავა ფიქრობს, რუსულ სცენაზე დასდგას.

**შ. შარაშიძის** პიესა „ავგაროზი“ გადითარგმნა რუს. ენაზე და მოკლე ხანში დაიდგმის.

**ს. აბაშელმა** სთარგანა პიესა „სამი მეფის სიყვარული“.

**ვაჟა-ფშაველას** საღამო ნაძალადევში გაიმართება კვირას, 3 იანვარს.

**გორში** 6 იან. ქართველ მსახიობთა მიერ, ელ. ჩერქეზიშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“.

**გამოვიდა** ახალი წიგნაკი „საახალწლო წკიპურტები“, შედგ- ნისლისა, გამოც. ისრისა. 16 გვ. ფ. 10 კ.

**მ. ვ. მაჩაბელმა გვაცნობა**, ქართულ საქველმოქმედო საქმეთა კარგად მართვა-გამგეობა მხოლოდ მე არ მომეწერება. ჩემი ამხანაგებიც—გამგეობის ყველა წევრი და საზოგადოებაც—თავგამოდებით მუშაობენ ჩვენი დაზარალებული ხალხის სასიკეთოდაო. აქვე აღვნიშნავთ, რომ მ. ვ. მაჩაბელი თანამშრომლობდა არა ილ. ჭავჭავაძის, არამედ ილ. ჭავჭავაძისეულ გაზ. „ივერია“-ში. ალ. სარაჯიშვილის რედაქტორობის დროს.

**ნ. გვარაძე** საბენეფისოდ ქუთაისში 13 იანვარს სდგავს ახალ პიესას „მოლიპულ გზაზე“-ს, ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან ვ. გარრიკის მიერ გადმოკეთებულს.

**სომეხთა** სახელ განთქმული მსახიობი გ. ჩიმიშკიანი გარდაიცვალა პეტროგრადს.

**„თეატრი და ცხოვრება გაუწერეს** თავის ხარჯით: 1) ლაგოდეხის „ვაჟაფშაველას“ სახელობის სამკითხველოს გერ. ჩიკვაიძემ, 2) სამღთოს სამკითხველოს—სოლ. ბოლქვაძემ.

**ფოტ. ი. სტურუამ „თეატრი და ცხოვრება** თავისი ხარჯით გაუწერა სოფ. კულაშს. მანვე გაუწერა „თან. აზრი“.

**„თეატ. და ცხოვრ.“** განცხადება—კალენდარის რამდენიმე ფურცელში ალნიაშვილის სურათს შეცდომით ეწერა † 1903 წ. უნდა იყოს—† 1904 წ.

## ქართველ მსახიობთა კალენდარი

| | |
|---|---|
| მარიამობ.: | მსახიობთა ოცნება. |
| ენკენისთვე: | დრამატ. საზ. იწვევს მსახიობთ. |
| ღვინობის.: | სეზონის დაწყება. |
| გიორგობ.: | პირობების შეცვლა. |
| ქრისტეშ.: | დრამატ. საზოგადოების გაქცევა. |
| იანვარი: | ამხანაგობის შედგენა. |
| თებერვალი: | აყალ-მაყალი, უთანხმოება. |
| მარტი: | დიდმარხვის სეზონის ფიქრი. |
| აპრილი: | ამხანაგობის დაშლა. |
| მაისი: | ნივთების დაგირავება. |
| თიბათვე: | მოგზაურობა პროვინციაში. |
| მკათათვე: | ფეხით დაბრუნება დედა ქალაქში. |

**შაქრო საფაროვი**

# ენის წამება

(ყურმოკრული)

სადგურის უფროსის თანაშემწე დაუძახებს მეისრეს, რომელიც იმ წამსვე იქ გაჩნდება და ხელს ასწევს.

— შტო გვიბრძანე, ბატონო?

—ა ნუ დიკტუი, ჩტო უ ტებია ტამ?

— ოდნა ვადიანი კატიოლი.

— ხარაშო. ოდინ ვოდიანოი კატიოლ' დალშე?

— პეტნაცით იაშიკები, ნაჩანიკ.

— ხარაშო. პიატნადცად იაშჩიკოვ. დალშე?

— დევიტი აბრუდიუნიე გოსპოდინ.

— რაო, რაო? აბრადუნი და ანასუნი შენს საქმეს, შე აყლაყუდა შენა. მეხი კი დაგატეხე მაგ თავზე. რავა, ორმოცი წლის ნამსახურმა კაცმა აბარუდოვანი ვაგონების სახელი არ უნდა იცოდე? დაიკარგე აქედან...

— ტაკ ტოჩნი, ნაჩანიკ, აბრადუნუიე, აბრადუნუიე:

— დახე! კიდევ აქა ხარ გაჩერებული? დაიკარგე მეთქი შე...

— სლუშუიუს, ბარინ,

**სელოს ძმა**

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა